ეროვნული ბიბლიოთეკა






პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 208 (3692)

1968 წ. 22 ოქტომბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

# რეკორდების ესტაფეტა მოცურავეებმა მიიღეს

მეხიკოს ოლიმპიადამ ეს-ესაა გადაკვეთა ეკვატორი, ძალოსნებმა, აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატებმა, მძლეოსნებმა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა კი შეჯიბრება უკვე დაამთავრეს.

მძლეოსანთა შეჯიბრების ბოლო დღე იყო კვირა და იგი მსოფლიო რეკორდების კასკადით დამთავრდა. საინტერესო სანახაობა იყო ესტაფეტები. 4×100 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის ვაჟთა კვარტეტი ფინალში ვერ გავიდა, ვინაიდან ნახევარფინალის პირველსავე ეტაპზე ესტაფეტის უხეიროდ გადაცემისთვის ასპარეზობიდან მოიხსნა. გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო ამერიკის გუნდმა — 38,2. ეს 0,4 და 0,8 წამით სჯობს ამერიკელებისავე ოფიციალურ მსოფლიო და ოლიმპიურ რეკორდებს.

ამერიკელებს დარჩათ გამარჯვება 4×400 მეტრზე ესტაფეტაშიც — 2.56,1. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია და ბევრად სჯობს ტოკიოში ნაჩვენებ ოლიმპიურ მიღწევას — 3.00,7.

ქალთა ესტაფეტაში 4×100 მ გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები კუბის, სსრ კავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლები იყვნენ. პირველი ეტაპის დასაწყისში გადამწყვეტით რაიმეს თქმა ძნელი იყო, მაგრამ შემდეგ ამერიკელების უპირატესობა თანდათან ნათელი გახდა. ბ. ფერელიმ ესტაფეტა ყველაზე ადრე გადასცა თანაგუნდელ მ. ბეილზს, რომელმაც კიდევ უფრო გაიმტკიცა პოზიცია. მომდევნო ეტაპებზე მ. მეტერმა და ვ. ტაიესმა არა მარტო შეინარჩუნეს მონაპოვარი, არამედ კიდევ უფრო გაზარდეს მეტოქეებთან სხვაობა. მათ გაიმარჯვეს ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდებით — 42,8. II ადგილზე გავიდა კუბის კვარტეტი, III—სსრ კავშირის ნაკრები (ლ. ჟარკოვა, გ. ბუხარინა, ვ. პოპკოვა, ლ. სამოტიოსოვა) — 43,4. ეს ევროპისა და სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

(გაგრძელება მე-2 გვ.)



ა. მედვედი



ბ. გურევიჩი



შ. ლომიძე




მეხიკო. XIX ოლიმპიადაზე. ლ. ჟაბოტინსკი და ირანელი ძალოსნები.

ფოტო მ. განკინისა [ტას-ი].

## ოლიმპიადის ცაზლო

### მძლეოსნობა

**სიგრძეზე ხტომა (ვაჟები)**

1. ბ. ბიმონი (აშშ) — 8,90 მ (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. კ. ბეერი (გდრ) — 8,19
3. რ. ბოსტონი (აშშ) — 8,16
4. ი. ტერ-ოვანესიანი (სსრ კავშირი) — 8,12
5. ტ. ლეპიკი (სსრ კავშირი) — 8,09
6. ა. კროული (ავსტრალია) — 8,01

**400 მ რბენა (ვაჟები)**

1. ლ. ევანსი (აშშ) — 43,8 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. ლ. ჯეიმსი (აშშ) — 43,9
3. რ. ფრიმენი (აშშ) — 44,4
4. ა. გაკუ (სენეგალი) — 45,0
5. მ. ელინბჰაუსი (გფრ) — 45,3
6. ტ. ბეზაბეხი (ეთიოპია) — 45,4

**200 მ რბენა (ქალები)**

1. ი. შევინსკა-კირშენშტეინი (პოლონეთი) — 22,5 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. რ. ბოილი (ავსტრალია) — 22,7
3. ჯ. ლამი (ავსტრალია) — 22,8
4. ბ. ფერელი (აშშ) — 22,9
5. ნ. მონტანდონი (საფრანგეთი) — 23,0
6. ვ. ტაიესი (აშშ) — 23,0

**80 მ თარჯრბენი**

1. მ. კეირდი (ავსტრალია) — 10,3 (ოლიმპიური რეკორდი)
2. პ. კილბორნი (ავსტრალია) — 10,4
3. ჩენ ლი (ტაივანი) — 10,4
4. პ. უოლმერერი (აშშ) — 10,5
5. კ. ბალცერი (გდრ) — 10,6
6. დ. სტრაშინსკა (პოლონეთი) — 10,6

**ბადროს ტყორცნა (ქალები)**

1. ლ. მანოლიუ (რუმინეთი) — 58,28 მ (ოლიმპიური რეკორდი)
2. ლ. ვესტერმანი (გფრ) — 57,76
3. ი. კლეიბერნე (უნგრეთი) — 54,90
4. ა. ოტო (გდრ) — 54,40
5. ა. პოპოვა (სსრ კავშირი) — 53,42
6. ო. კონოლი (აშშ) — 52,96

**ათჭიდი**

1. ბ. ტუმეი (აშშ) — 8193 ქულა (ოლიმპიური რეკორდი — 10,4; 7,87; 13,75; 195; 45,6; 14,9; 43,68; 420; 62,80; 4.57,1)
2. ჰ. ვალდე (გფრ) — 8111
3. კ. ბენდლინი (გფრ) — 8064
4. ნ. ავილოვი (სსრ კავშირი) — 7909
5. ი. კირსტი (გდრ) — 7861
6. თ. უედელი (აშშ) — 7720

**800 მ რბენა (ქალები)**

1. მ. მენინგი (აშშ) — 2.00,9 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ი. სილაი (რუმინეთი) — 2.02,5
3. მ. გომერსი (ჰოლანდია) — 2.02,6
4. შ. ტეილორი (ინგლისი) — 2.03,8
5. დ. ბრაუნი (აშშ) — 2.03,9
6. პ. ლოუ (ინგლისი) — 2.04,2

### წყალში ხტომა

**ტრამპლინი (ქალები)**

1. ს. გოსიკი (აშშ) — 150,77
2. თ. პოგოჟევა (სსრ კავშირი) — 145,30
3. კ. ო'სალივანი (აშშ) — 145,23
4. მ. კინგი (აშშ) — 138,38
5. ი. კრემერ-გულმინი (გდრ) — 135,82
6. ვ. ბაკლანოვა (სსრ კავშირი) — 132,31

### ველოსპორტი

**გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა**

1. დ. რებილარი (საფრანგეთი) — 4.41,71
2. მ. ფრეი (დანია) — 4.42,43
3. ქ. კურმანი (შვეიცარია) — 4.39,42
4. ჯ. ბილსმა (ავსტრალია)

**სპრინტი**

1. დ. მორელონი (საფრანგეთი)
2. ჯ. ტურინი (იტალია)
3. პ. ტრანტენი (საფრანგეთი)
4. ო. ფხაკაძე (სსრ კავშირი)



# რეკორდების ესტაფეტა მოცურავეებმა მიიღეს

(გაგრძელება)

224 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას მარტო რ. ფოსბიური (აშშ) გადაევლო და 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა ვ. ბრუმელის (სსრ კავშირი) მიერ ტოკიოში ნაჩვენები ოლიმპიური მიღწევა. კარგად გამოვიდა მოსკოველი ვ. გავრილოვი, რომელმაც 220 სმ დასძლია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბრინჯაოს დასჯერდა. ვერცხლი ამერიკელ კარაზერს ხვდა.

ბირთვის მკვრელი ქალების ასპარეზობაში საუკეთესო იყო მ. გუმელი (გდრ), მისი ბირთვი ამ სახეობის ისტორიაში პირველად გადასცდა 19 მეტრს. ფინალში გუმელმა 19,61 მ აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აღსანიშნავია, რომ მისი ეს მაჩვენებელი 1,47 მეტრით სჯობს თ. პრესის ოლიმპიურ რეკორდს, რომელიც ტოკიოში იყო ნაჩვენები. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ნ. ჩიჟოვა (18,19 მ) III ადგილით დაკმაყოფილდა.

მარათონულ რბენაში თავიდანვე დაწინაურდა 25 წლის ეთიოპიელი ჯარისკაცი მ. ვოლდე, რომელსაც მეხიკოში „აბებე ბიკილას მოადგილე“ უწოდეს (თვითონ ბიკილამ ფეხის ტრავმის გამო რბენა მე-15 კილომეტრზე მიატოვა). ვოლდემ ყველა მეტოქეს საგრძნობი უპირატესობით მოუგო — 2:20.26,4.

მეტად საინტერესო იყო 1500 მეტრზე რბენა. აშშ-ს გუნდს ამ სახეობაშიც ჰქონდა გამარჯვების იმედი, ვინაიდან ჯ. რაიანი ოქროს მედლის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. ასპარეზობის ტემპი იმდენად მაღალი იყო, რომ მაყურებლები ბრწყინვალე შედეგს ელოდნენ და არც შემცდარან. როცა ფინიშამდე 400 მეტრი დარჩა, მოულოდნელად დაწინაურდა კ. კეინო (კენია), ხოლო რბენის დამთავრებამდე 200 მეტრით ადრე ტემპს რაიანმაც მოუმატა, მაგრამ გაიმარჯვა კეინომ — 3.34,9. ეს 0,7 წამით უკეთესია ავსტრალიელ ჰ. ელიოტის რომაულ ოლიმპიურ რეკორდზე.

800 მეტრზე ქალთა რბენასა და ათჭიდში გამარჯვება ამერიკელებს დარჩათ. ქალებში პირველი იყო ზანგი მ. მანინგი — 2.00,9. მანინგი არა მარტო ოლიმპიური ჩემპიონი, არამედ თამაშებისა და მსოფლიო რეკორდების ავტორიც გახდა. ე. პეკერის (ინგლისი) ოლიმპიური რეკორდი მან 0,2 წამით გააუმჯობესა, ავსტრალიელ ჯ. პოლოკის შარშანდელი მსოფლიო რეკორდი კი 0,1 წამით.

ათჭიდში გაუქმდა რ. ჯონსონის რომაული ოლიმპიური მიღწევაც, თუმცა რეკორდს ამჯერადაც ამერიკელი დაეუფლა. ბ. ტუმეიმ საბოლოოდ 8193 ქულა დააგროვა. სსრ კავშირის გუნდის წევრი, 20 წლის ს. ავილოვი IV ადგილზე გავიდა — 7909.



•

მძლეოსანთა შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგებიდან ისტორიაში ფანტასტიკურის სახელით შევა ორი მაჩვენებელი: ერთის ავტორია სამხტომში გამარჯვებული ვ. სანეევი (სსრ კავშირი), მეორისა — სიგრძეზე ხტომაში უძლიერესი ბ. ბიმონი (აშშ). ორივემ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მათი მაჩვენებლები (17,39 და 8,90 მ) დიდხანს არ შეიცვლება რეკორდების ცხრილში.

* * *

სურათზე: ბ. ბიმონი ფანტასტიკური ნახტომის შესრულების დროს.

•

აკადემიურ ნიჩბოსანთა შეჯიბრების ფინალმა 10.000-ზე მეტი მაყურებელი მიიზიდა. ტრიბუნები, რომლის სიგრძე 500-მეტრამდეა, სავსე იყო გულშემატკივრებით. ისინი ტაშითა და ყიჟინით ამხნევებდნენ სპორტსმენებს, თუმცა საეჭვოა მათ შეძახილებს მოასპარეზეთა სმენამდე მიეღწია, რვიანებით შეჯიბრების ფინალში საბჭოთა კავშირის ნავიც მონაწილეობდა, რაც უდავოდ დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ადრინდელ ოლიმპიადებში ჩვენი სპორტსმენები ფინალამდე ვერ აღწევდნენ. თავიდანვე დაწინაურდა ამერიკის ოქტეტი. შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ახალი ზელანდიის გუნდმა, მაგრამ როცა ფინიშამდე 500 მეტრი დარჩა, ასპარეზობას თავში მოექცა 8 ნავი. საბოლოოდ პირველობა მოიპოვა გფრ-მ — 6.07,0. მეორეზეა ავსტრალიის — 6.07,98, III—სსრ კავშირის ნავრები — 6.09,11.

ორადგილიანი წყვილმოსასმელიანითაც სტარტიდან წინ ამერიკელები გაიჭრნენ, მაგრამ სულ მალე მათ ჰოლანდიელებმა გაასწრეს. აღსანიშნავია, რომ ამ კლასის ნავებით ფინალამდე გამართულ ყველა წინა ტურნირში სსრ კავშირის დუეტმა (ა. სასი და ა. ტიმოშინინი) თავის სასარგებლოდ ბოლო 500 მეტრზე გადაწყვიტა რბოლის ბედი. მაყურებლებმა ეს კარგად იცოდნენ და ახლაც ამგვარ მანევრს ელოდნენ. მართლაც, ჩვენები შუა დისტანციამდე თუ 32—33 მოსმით კმაყოფილდებოდნენ, ფინიშის მოახლოვებისას ნიჩბების მოსმის ტემპი წუთში 37—38-მდე ავიდა, ამით ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს და ერთი წამით აჯობეს მეორე პრიზიორს — ჰოლანდიის წყვილს, რომლის დროა 6.52,8. საინტერესო გამოდგა უმეხაჟო ოთხიანებით ასპარეზობა. გდრ-ის კვარტეტს წლეულს არც ერთი რეგატა არ წაუგია, და ის ახლაც უძლიერესი იყო — 6.39,8. საბჭოთა გუნდი ამ კლასის ნავების ფინალში ვერ გავიდა.

მოცურავეთა ტურნირი ოლიმპიურ აუზში ტარდება. ბრასით ასპარეზობაში ფავორიტები—საბჭოთა კავშირის სპორტსმენები თავიანთ შესაძლებლობაზე ცუდად

(გაგრძელება მე-8 გვ.)

## ოლიმპიადის ცანბლო

### ძალოსნობა

**ქვემძიმე წონა**

1. კ. კანგასნიემი (ფინეთი) — 517,5 (ოლიმპიური რეკორდი) (172,5+157,5+187,5) (კანგასნიემმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 158)
2. ი. ტალტსი (სსრ კავშირი) — 507,5 (160+150+197,5 — მსოფლიო რეკორდი)
3. მ. გოლომბი (პოლონეთი) — 495 (165+145+185)
4. ბ. იუჰანსონი (შვეცია) — 492,5
5. ი. კაილაიარვი (ფინეთი) — 485
6. ა. ნემეშანი (უნგრეთი) — 482,5

**მძიმე წონა**

1. ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) — 572,5 (200-ოლიმპიური რეკორდი+170—ოლიმპიური რეკორდი+202,5)
2. ს. რედინგი (ბელგია) — 555 (195+147,5+212,5)
3. ჯ. დიუბი (აშშ) — 555 (200+145+210)
4. მ. რიგერი (გდრ) — 532,5
5. რ. მანგი (გფრ) — 525
6. მ. ლინდროოსი (ფინეთი) — 495

### ტყვიის სროლა

**მცირეკალიბრიანი პისტოლეტი**

1. გ. კოსიხი (სსრ კავშირი) — 562 ქულა (ოლიმპიური რეკორდი)
2. ჰ. მერტელი (გფრ) — 562
3. ჰ. ვოლმარი (გდრ) — 560
4. ა. ვაიტარბო (აშშ) — 559
5. პ. მალეკი (პოლონეთი) — 556
6. ჰ. არტელტი (გდრ) — 555

**მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლა**

1. ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია) — 598 ქულა (ოლიმპიური რეკორდი)
2. ლ. ხამერლი (უნგრეთი) — 598
3. ი. ბალინგერი (ახალი ზელანდია) — 597
4. ნ. როტარუ (რუმინეთი) — 597
5. ჯ. პალინი (ინგლისი) — 596
6. ჟ. ლორე (საფრანგეთი) — 596...

16. ვ. კორნევი (სსრ კავშირი) — 594...

36. ვ. პარხიმოვიჩი (სსრ კავშირი) — 590

### სასტენდო სროლა

**ადგილიდან სროლა**

1. რ. ბრეიტუაიტი (ინგლისი) — 198
2. რ. ჰარიმანი (აშშ) — 196
3. კ. ჩეკალა (გდრ) — 196
4. პ. სენიჩევი (სსრ კავშირი) — 196
5. პ. კანდელო (საფრანგეთი) — 195
6. ა. სმელჩინსკი (პოლონეთი) — 195
7. ა. ალიპოვი (სსრ კავშირი) — 195

### ფარიკაობა

**რაპირა.**

**გუნდური ჩათვლა (ვაჟები)**

1. საფრანგეთი (რევენიუ, ნოელი, ბერლატი, მანიანი)
2. სსრ კავშირი (შაროვი, სვეშნიკოვი, პუტიატინი, სტანკოვიჩი)
3. პოლონეთი
4. რუმინეთი
5. უნგრეთი
6. გფრ

### ცურვა

**100 მ თავისუფალი სტილით (ვაჟები)**

1. მ. უენდენი (ავსტრალია)—52,2 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. კ. უოლში (აშშ) — 52,8
3. მ. სპიტცი (აშშ) — 53,0
4. რ. მაკგრეგორი (ინგლისი) — 53,5
5. ლ. ილიჩევი (სსრ კავშირი) — 53,8
6. გ. კულიკოვი (სსრ კავშირი) — 53,8

**100 მ ბრასით**

1. დ. მაკენზი (აშშ) — 1.07,7 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ვ. კოსინსკი (სსრ კავშირი) — 1.08,0
3. ნ. პანკინი (სსრ კავშირი) — 1.08,0
4. ხ. ფიოლო (ბრაზილია) — 1.08,1
5. ე. მიხაილოვი (სსრ კავშირი) — 1.08,4
6. ი. ო'ბრაიენი (ავსტრალია) — 1.08,6

**100 მ თავისუფალი სტილით (ქალები)**

1. ჯ. ჰენი (აშშ) — 1.00,0
2. ს. პედერსენი (აშშ) — 1.00,3
3. ლ. გუსტავსონი (აშშ) — 1.00,3
4. მ. ლეი (კანადა) — 1.00,5
5. მ. გრიუნერტი (გდრ) — 1.01,0
6. ა. ჯეკსონი (ინგლისი) — 1.01,0

**100 მ ბრასით**

1. ჯ. ბიედოვი (იუგოსლავია) — 1.15,8 (ოლიმპიური რეკორდი)
2. გ. პროზუმენშჩიკოვა (სსრ კავშირი) — 1.15,9
3. შ. უიჩმენი (აშშ) — 1.16,1
4. უ. ფრომატერი (გფრ) — 1.16,2
5. კ. ბოლი (აშშ) — 1.16,7
6. კ. ნაკაგავა (იაპონია) — 1.17,0
7. ს. ბაბანინა (სსრ კავშირი) — 1.17,2

### აკადემიური ნიჩბოსნობა

**ერთადგილიანი**

1. ჰ. ვინეზე (ჰოლანდია) — 7.47,8
2. ი. მაისნერი (გფრ) — 7.52,0
3. ა. დემიდი (არგენტინა) — 7.57,19
4. ჯ. ვ. ბლომი (აშშ) — 8.00,51
5. ა. ჰილი (გდრ) — 8.06,09
6. კ. დუენი (ინგლისი) — 8.13,70



მეხიკო. XIX ოლიმპიადაზე. სსრ კავშირის ოლიმპიელ კალათბურთელთა გუნდი სპორტის სასახლესთან.

ფოტო შ. განჯინაძე (ტას-ი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რეკორდების ესტაფეტა მოცურავეებმა მიიღეს

(გაგრძელება)

გამოვიდნენ. მათ მხოლოდ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ხვდათ. 100 მეტრზე ქალთა ცურვაში ოქრო იუგოსლაველმა ჯ. ბიედოვამ დაისაკუთრა—1.15,8. ეს პირველი ოლიმპიური რეკორდია (ადრე 100 მეტრზე ბრასით ცურვა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ შედიოდა). გ. პროზუმენშჩიკოვა გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა და ვერცხლს დასჯერდა. ვაჟებში ამავე სტილით და ამავე დისტანციაზე შეჯიბრება მოიგო ამერიკელმა დ. მეკენზიმ, რომელმაც მსოფლიოს სამ რეკორდსმენსა და ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს აჯობა. მეკენზის მაჩვენებელი (1.07,7) ახალი ოლიმპიური რეკორდია და 0,2 წამით აღემატება ვ. კოსინსკის მიერ ნახევარფინალში ნაჩვენებ მიღწევას. II ადგილზე გავიდა ვ. კოსინსკი, III — ნ. პანკინი (ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა — 1.08,8).

200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აშშ-ს სპორტსმენებმა იმარჯვეს. ქალებში ოქრო კ. კოლბიმ დაისაკუთრა — 2.24,7 (ეს პირველი ოლიმპიური რეკორდია და 0,3 წამით სჯობს მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს), ვაჟებში—ჩ. ჰიკოსმა — 2.12,0. მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდი დაემხო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ასპარეზობაშიც. დ. მაიერის (აშშ) ახლანდელი მაჩვენებელი (4.31,8) დ. დუნკელის (აშშ) ტოკიოში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს 11,5 წამით აღემატება. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაც დ. ჰენიმ (აშშ) მოიგო — 1 წუთი. სამაგიეროდ, ვაჟებში ამ დისტანციაზე ამავე სტილით შეჯიბრებაში ამერიკელებმა დაკარგეს როგორც ოლიმპიური (დ. შოლანდერი, — 53,4), ისე მსოფლიო (კ. უოლში — 52,6) რეკორდები. ავსტრალიელმა მ. უენდენმა მეხიკოს აუზში გამარჯვებას 52,2 წამი მოანდომა. სსრ კავშირის გუნდის წევრები ლ. ილიჩოვი და გ. კულიკოვი შესაბამისად V და VI ადგილებზე გავიდნენ, დრო კი ორივემ ერთნაირი აჩვენა — 53.8.

ტყვიის მსროლელები მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა (60 გასროლა) ასპარეზობდნენ. აქ საუკეთესო აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიელი ი. კურკა, რომელმაც 600-დან მხოლოდ 2 ქულა დაკარგა, მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა და ერთი ქულით გააუმჯობესა ლ. ჰემერტის (უნგრეთი) ოლიმპიური რეკორდი. სსრ კავშირის გუნდიდან საუკეთესო იყო ვ. კორნევი, რომელმაც ჩემპიონთან მხოლოდ 4 ქულა წააგო, მაგრამ XVI ადგილზე წინ ვერ წავიდა.

სასტენდო სროლის ოსტატები ადგილიდან ცდილნენ ძალას. ინგლისელმა დ. ბრეიტრაიტმა 200-დან 198 სამიზნე დაამსხვრია და პირველობა გაინაღდა (ოლიმპიური რეკორდის გამეორება). ძირითადმა ტურნირმა სხვა საპრიზო ადგილების ბედი ვერ გამოარკვია. ამერიკელ ტ. ჰარიჰასს, მოსკოველ პ. სენიჩევსა და კ. ჩეკალას (გდრ) ერთნაირი მაჩვენებელი (196) აღმოაჩნდათ. წესის თანახმად, მათ შორის დაინიშნა დამატებითი სერია, რომელიც ჰარიჰასისთვის იღბლიანი გამოდგა და II ადგილიც მას მიეკუთვნა. ბრინჯაო წილად ხვდა ჩეკალას. ჩვენი გუნდის მეორე წევრი ა. ალიპოვი 195 ქულით VII ადგილს დასჯერდა.

ველოსტადიონზე გამართულ სპრინტერთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ საბოლოოდ IV ადგილი დაიკავა. ჩვენი სპორტსმენებიდან ოლიმპიადებზე მანამდე უძლიერესთა ოთხეულში არავინ შესულა. თუ, ფხაკაძის მაჩვენებელს ამ საზომით მივუდგებით, შედეგი ურიგო როდია, მაგრამ სპეციალისტები მსოფლიოს ექს-ჩემპიონისაგან მეტს ელოდნენ. პირველობა მოიპოვა ფრანგმა მორელონმა. ტურინი (იტალია) მეორე იყო, III ადგილზე გავიდა ტრანტენი (საფრანგეთი). ტანდემებით რბოლაში ი. ბოდნიეკსი და ი. ცელოვალნიკოვი ნახევარფინალშიც ვერ გავიდნენ. მათ მეოთხედფინალში იტალიელებთან წააგეს.

• ნაპირისწ ვაჟთა გუნდური შეჯიბრების მეოთხედფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო უნგრეთს, ნახევარფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს მსოფლიოს ჩემპიონი რუმინეთის კოლექტივი, მაგრამ ფინალში წააგეს (6:9) საფრანგეთის გუნდთან და II ადგილი დაიკავეს.

ფეხბურთელთა ოლიმპიური შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება. გაირკვა ნახევარფინალისტთა ვინაობა. დღეს ფინალის საგზურებისთვის ერთმანეთს ხვდებიან უნგრეთი — იაპონია და მექსიკა—ბულგარეთი.

მოფარიკავეთა ტურნირში შესანიშნავად გამოვიდა მინსკელი სტუდენტი ე. ნოვიკოვა, მან რაპირისტ ქალთა ფინალური ტურნირი წაგებით დაიწყო, მაგრამ როდი დაიბნა. სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტმა შემდეგ ზედიზედ 4 შეხვედრა მოიგო და ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიხვეჭა. VI ადგილზე გავიდა საბჭოთა მოფარიკავე ე. გოროხოვა, რომელმაც ერთადერთი დამარცხება აწვნევინა ჩემპიონს. მანამდე ესპადრონისტთა შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონმა, საბჭოთა მოფარიკავე მ. რაკიტამ

(დასასრული მე-4 გვ.)



ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა სპორტსმენები ა. სასი და ა. ტიმოშინინი, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით ასპარე ზობაში.

# სიტყვა ეკუთვნით ხუთი კონტინენტის მედროშეებს

XIX ოლიმპიადის გახსნის დღეს აას-ის სპეციალურმა კორესპონდენტმა ლ. კოსტანიანმა ინტერვიუ ჩამოართვა 5 კონტინენტის მედროშეებს. აი, ორი სიტყვა თვითეულზე და ორ-ორი სიტყვა თავად იმ სპორტსმენებისა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ოლიმპიურ დელეგაციას თავში ჩასდგომოდნენ და თავიანთი ქვეყნების დროშები სტადიონზე გაეტარებინათ.

რაფაელ კარპიო (მექსიკა). 30 წლისა. მსროლელი. თავისი ქვეყნისა და ცენტრალური ამერიკის 1968 წლის თამაშების ჩემპიონი სილუეტებზე სწრაფსროლაში.

—არ ვიცი, გავიმარჯვებ თუ არა, მაგრამ გამარჯვებულის გრძნობა, ასე მგონია, უკვე გამოვცადე, როცა დროშის ტარება მომანდეს; გამოვცადე ისევე, როგორც ენრიკეტა ბასილიომ, რომელმაც ოლიმპიური კოცონი აანთო, და პაბლო გარიტომ, ჩვენმა მარათონელმა, რომელსაც ოლიმპიური ფიცის წარმოთქმა მიანდეს.

ლეონიდ ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი). 29 წლისა. ძალოსანი. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რეკორდსმენი.

— საბჭოთა გუნდში ტრადიციად იქცა, რომ დროშა ძალოსანს მიაქვს. ეს იმიტომ, რომ ადრე თითქმის ყველა ჩვენი ძალოსანი მედალს იხვეჭდა. დარწმუნებული ვარ, რომ მეხიკოს თამაშები გამონაკლისი არ იქნება.

სალახ შელებუ (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა). 20 წლისა. წყალბურთელი.

—მე დიდი ტიტულები არა მაქვს. დროშა იმიტომ მომანდეს, რომ სხვებზე მაღალი ვარ. მაგრამ ამას მივიჩნევ, როგორც მომავალ წარმატებათა ავანსს და ვეცდები გავამართლო ნდობა.

პრითჰიპალ სინხი (ინდოეთი). 35 წლისა. ჰოკეისტი. რომის თამაშების ვერცხლის მედალოსანი და ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი.

— ჩვენს გუნდში რომის შემადგენლობიდან მარტო მე და პიტერი დავრჩით. მე გუნდის კაპიტანი ვარ და ამიტომ კოლონის თავში დამაყენეს.

ბილ როუკროფტი (ასტრალია). 53 წლისა. ცხენოსანი. რომში — ოქროს მედალი გუნდურ ჩათვლაში, ტოკიოში — VII ადგილი.

— ოლიმპიურ გუნდში ახლა ჩემს ვაჟთან ერთად გამოვდივარ. ორმა ერთი მედალი რომ მივილოთ, ამასაც არა უშავს.

კარლოს მარატორიო (არგენტინა). ცხენოსანი. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ცხენოსნურ სამეიდში, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი.

— შარშან სამხედრო სკოლაში ვიყავი და ცხენის ჭიხვინიც დამავიწყდა. ახლა კვლავ შევჯექი უნაგირზე. ვნახოთ, გამოვა რამე თუ არა.

იოაო გონზალესი (ბრაზილია). 33 წლისა. მექსიკის ოლიმპიადა მისთვის მეხუთეა. ჰელსინკისა და მელბურნში გამოდიოდა ცურვაში, მერე წყალბურთში. პანამერიკული თამაშების ჩემპიონია ორივე სახეობაში.

— ჩვენს ოლიმპიურ გუნდში ბევრი ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ დროშა მე მომანდეს. ვინ იცის, იქნებ ველარასოდეს გავხდე ოლიმპიადის მონაწილე.

პიკარდო გონსალეზი (კოლუმბია). მოცურავე. ქვეყნის ჩემპიონი. ოლიმპიადაზე პირველადაა.

— გამიჭირდება გითხრათ, მაინცდამაინც მე რატომ ამირჩიეს; დროშის წაღება ახვევ შეიძლებოდა მიენდოთ ველოსიპედისტ კოჩისისთვის, მძლეოსან მეაიასთვის ან მოცურავე არანგოსთვის.

ჰექტორ რამირესი (კუბა). 25 წლისა. ტანმოვარჯიშე. პანამერიკული თამაშების ჩემპიონი.

— გამოჩენილ ოსტატებთან მეტოქეობა ძნელი იქნება. და მაინც ვეცდები დავამტკიცო, რომ ტყუილად არ მისწავლია საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან, — თქვა მან რუსულად. ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა იორიე გარსიამ დასძინა: „ჩვენ მას იმიტომ დავავალეთ ეს, რომ რამირესი არის „გრან დეპორტისტე" და „გრან რევოლუციონარიო".

როლფ ჰოკე (ჩილი): 23 წლისა. შუბის მტყორცნელი. ქვეყნისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი. ოლიმპიადაზე პირველადაა.

— ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დროშა ჩამაბარა. მე პირველი მივდივარ. ვეცდები ბოლო ადგილი არც შეჯიბრებაში დავიკავო.

ანა მარია ნორბისი (ურუგვაი). 21 წლისა. მოცურავე. სამხრეთ ამერიკის წლევანდელი ჩემპიონი. II ადგილი 1967 წლის პანამერიკულ თამაშებში. ოლიმპიადაზე პირველადაა.

— ახლა მთავარი ამოცანა ფინალში მოხვედრაა. გამარჯვება, რა თქმა უნდა, მსურს, მაგრამ ასპარეზობენ ამერიკელებიც, რუსებიც, გერმანელებიც. ბედნიერი ვარ, რომ დროშის წაღება მე დამავალეს. ქალს ასეთი პატივი იშვიათად ხვდება.



ტყვიის მსროლელთა ტურნირმა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში გამოავლინა, ოქროს მედალი გ. კოსიხმა (სსრ კავშირი) მოიპოვა. ს უ რ ა თ ზ ე: თამაშების პრიზიორები (მარცხნიდან) თ. მერტელი (გფრ), გ. კოსიხი და ჰ. ვოლმარი (გდრ).

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, 200 მეტრზე რბენაში თამაშების ჩემპიონმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა ტ. სმითმა და მესამე პრიზიორმა ჯ. კარლოსმა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე რასიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ამერიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს მუშტები აღმართეს. ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელობამ ისინი გუნდიდან გარიცხა და მეხიკოდან გააძევა. ამ ს უ რ ა თ ზ ე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხმითი ოლიმპიურ სოფელს ტოვებს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკორდების ესტაფეტა მოცურავეებმა მიიღეს

(დასასრული)

გადამწყვეტ ბრძოლაში საბჭოთა სპორტსმენი უგებდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს პოლონელ ე. პავლოვსკის, მაგრამ როცა ანგარიში იყო 4:3 მის სასარგებლოდ, ყურადღება მოადუნა, ამით ისარგებლა პოლონელმა და ორი გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მეტოქეს. საბჭოთა რაპირისტი ვაჟები გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონები არიან და მოსალოდნელი იყო, რომ ამ მაღალ ტიტულს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობასაც დაუმატებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს საფრანგეთის „მუშკეტერებთან“ — 6:9. ვერცხლის მედლები მოიპოვეს სვეშნიკოვმა, პუტიატინმა, შაროვმა და სტანკოვიჩმა.

ძალოსნები ბოლო დღეს მძიმე წონაში ასპარეზობდნენ. აქ დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი საბჭოთა ათლეტ ლ. ჟაბოტინსკისა და ამერიკელ ი. დიუბს შორის. მაგრამ უკვე ორი მოძრაობის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ ჟაბოტინსკი მთელი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეზე. სამჭიდში ჟაბოტინსკის მაჩვენებელია 572,5 კგ. ზუსტად იმდენი, რამდენმაც ტოკიოში ოქროს მედალი მოუტანა. 555 კგ დააგროვეს ამერიკელმა დიუბმა და ბელგიელმა ს. რედინგმა. მაგრამ ვერცხლი ბელგიელს მიეკუთვნა, როგორც წონით მეტოქეზე მსუბუქს.

ტრამპლინიდან წყალში მხტომელ თ. პოგოჟევას მხარი ვერ აუბეს ვაჟებმა. აქ უძლიერესი აღმოჩნდა პანამერიკული თამაშების ჩემპიონი ბ. რაიტსონი (აშშ). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო, ევროპის ჩემპიონი მ. საფონოვი მხოლოდ IX ადგილს დასჯერდა.

არაოფიციალურ ჩათვლაში გამარჯვება იზეიმეს სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. ჩვენი ყველა ათლეტი საპრიზო ექვსეულებში მოხვდა. ოლიმპიადის ჩემპიონობა მოიპოვეს ა. მედვედმა (მძიმე წონა) და ბ. გურევიჩმა (საშუალო წონა). შ. ლომიძემ (ქვემძიმე წონა) ვერცხლის მედალი მოიხვეჭა.

უცხოელთაგან ჩემპიონები გახდნენ: იაპონელები ნაკატა (უმჩატესი წონა), იუტაკე (მჩატე), კანეკო (ქვემსუბუქი), ირანელი მოვახედი (მსუბუქი), თურქები ათალაი (ქვესაშუალო) და აიკი (ქვემძიმე).

უშელავათო ბრძოლა გრძელდება კალათბურთელთა ტურნირში. V ტურში აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა პანამის გუნდი — 95:60 (51:33), ესპანეთმა — სენეგალი — 64:54 (30:24), პუერტო-რიკომ — ფილიპინები — 89:65 (45:33), ბრაზილიამ — სამხრეთ კორეა — 91:59 (42:32), პოლონეთმა — მაროკო — 85:49 (46:25).

ცნობილია VI ტურის 4 მატჩის შედეგიც: „ა“ ჯგუფი. იუგოსლავია — ესპანეთი — 92:79, პუერტო-რიკო — პანამა — 80:69; „ბ“ ჯგუფი. სსრ კავშირი — მექსიკა — 88:62, პოლონეთი — ბულგარეთი — 69:67. და აი, კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა. საბჭოთა კალათბურთელებმა VII ტურში დაამარცხეს ოლიმპიადის ერთ-ერთი ფავორიტი — ბრაზილიის ნაკრები — 76:65 (39:38).

ფრენბურთელ ქალთა ტურნირში მეოთხე მატჩი გამართა სამხრეთ კორეის გუნდმა. კორეელებმა დაამარცხეს აშშ-ს ფრენბურთელები — 3:1. ცნობილია აგრეთვე, ვაჟთა გუნდების რამდენიმე შეხვედრის შედეგი. სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო პოლონეთის გუნდს — 3:0. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: აშშ—ბრაზილია — 3:0, აშშ — ბულგარეთი — 2:3, ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია — 2:3, პოლონეთი — ბელგია — 3:0, გდრ — მექსიკა — 3:0, იაპონია — ჩეხოსლოვაკია — 2:3.

ქალთა გუნდებში დაუმარცხებლად იბრძვიან სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელები, ვაჟთა გუნდებში კი მხოლოდ ჩეხოსლოვაკიელებს არ წაუგიათ. ვაჟთა ასპარეზობის ოთხი ტურის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელებს 8 ქულა აქვთ, სსრ კავშირისა და ბულგარეთის ფრენბურთელებს — 7-7.

წყალბურთელებმა, რომლებიც „ა“ ჯგუფში გამოდიან, კიდევ რამდენიმე შეხვედრა გამართეს. სსრ კავშირის სპორტსმენებმა ესპანელებთან „მშრალი“ ანგარიშით (5:0) გაიმარჯვეს, მაგრამ უნგრელებთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ — 5:6. უნგრელებმა დაამარცხეს აშშ-ს (5:1) და ესპანეთის (7:1) გუნდებიც. „ა“ ჯგუფში 4-4 მატჩი გამართეს საბჭოთა და უნგრელმა წყალბურთელებმა. უნგრელებმა ქულათა მაქსიმუმი (8) დააგროვეს, ხოლო ჩვენებმა — 6.

„ბ“ ჯგუფში ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს იაპონელებთან (9:1), იტალიელებმა — გდრ-ის გუნდთან (5:4) და იუგოსლავიელებთან (5:4), იუგოსლავიელებმა — მექსიკელებთან (9:0). ამ ჯგუფში დაუმარცხებლად იბრძვიან იტალიელები — 8 ქულა (8-დან) და ჰოლანდიელები — 6 (6-დან).

## რა სახეობებში გამოვლინდებიან ჩემპიონები დღეს

**ცურვა.** ქალები. 200 მ თავისუფალი სტილით; **ვაჟები.** 100 მ გულაღმა, 200 მ ბრასით.

**სასტენდო სროლა.** მრგვალი სტენდი.

**ფარიკაობა.** ვაჟები. დაშნა. პირადი ტურნირი.



### ტარზანი მეხიკოში

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე უამრავი ამერიკელი ტურისტი ჩამოვიდა. მათ შორისაა ერთი უაღრესად უჩვეულო პიროვნება. ეს გახლავთ ტარზანი, დიახ, სწორედ ის ტარზანი, რომელიც შესანიშნავად ხტუნაობდა ხეებზე ჯუნგლებში, ებრძოდა ნიანგებს და მეგობრობდა მაიმუნებთან ათობით საქვეყნოდ გახმაურებულ ფილმში.

ვიდრე ჰოლივუდის მსახიობი გახდებოდა, ჯონი ვაისმიულერმა 5 ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ცურვაში, 67-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო და ეროვნული რეკორდები. ახლა 60 წლის ჯონი დაივიწყეს. თავისი მილიონები მან გადასახადებს მოანდომა და მეხიკოში გასამგზავრებლად საჭირო ფული თანაქალაქელებმა მოუგროვეს.

•

თავად ვაისმიულერი ამბობს:

„ბედნიერი ვარ, რომ აქ, მეხიკოში, შემიძლია მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეთა ასპარეზობას დავესწრო. ჩემს შემდეგ ცურვამ დიდი გზა გაიარა. ჩემი სენსაციური შედეგები ახლა სასაცილო გამოჩნდებოდა. განსაკუთრებით დონ შოლანდერი მომწონს. ეს ჭაბუკი ჩემს ახალგაზრდობას მაგონებს“.

### ენამოსწრებული პასუხი

მექსიკის გაზეთი „სოლკი“ წერს: „ჯერჯერობით ყველაზე ენამოსწრებულ სპორტსმენად საბჭოთა მძლეოსანი ვლადიმერ გოლუბნიჩი შეიძლება ჩაითვალოს“.

გაზეთის კორესპონდენტმა საბჭოთა ჩემპიონს ჰკითხა: თქვენ ბრწყინვალედ დაამთავრეთ შეჯიბრება სიარულში. რას მოახმართ დანარჩენ დროს? „სიარულს, — უპასუხა ვლადიმერმა და აუხსნა: მინდა გავეცნო თქვენს მშვენიერ ქალაქს, მის მდიდარ ეროვნულ კულტურას, რაც მთელი მსოფლიოს პატივისცემას იმსახურებს“.

„ეს მარტო ენამოსწრებული პასუხი როდია. ამ სიტყვებში ჩანს პატივისცემა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი“ — წერს გაზეთი.

## დანინაურდა ალექსანდრია

**აშხაბადი,** 20 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა XXVIII საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა XII ტური.

მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა ნ. ალექსანდრიამ, რომელმაც მოუგო რ. ესტერკინას. სსრ კავშირის ჩემპიონი მ. რანიკუ დამარცხდა მ. შულთან. ნ. კონოპლიოვამ მოუგო ქ. ზვორიკინას, ხოლო. ა. ჩაიკოვსკაიამ — ქ. სკეგინას. ვ. ბორისენკოსა და თ. გოლოვეის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

12 ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა ალექსანდრია, რომელსაც 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

## გუშინ...

შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. ალექსანდრია — რანიკუს, ბილუნოვა — რანიკუს, სანაძე—ზვორიკინას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

12. ტურის შემდეგ ალექსანდრიას 9 ქულა აქვს, ბილუნოვასა და რანიკუს — 8,5-8,5.

## რვიდან 8 ქულა

ლუგანოში მოჭადრაკე ვაჟთა XVIII ოლიმპიადაზე, საბჭოთა მოჭადრაკეები II ტურში იტალიელებს შეხვდნენ და დაამარცხეს ისინი 3,5-1,5. გამარჯვება იზეიმეს ტ. პეტროსიანმა, ბ. სპასკიმ და ვ. სმისლოვმა. ლ. პოლუგაევსკიმ შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ამ ნახევარფინალურ ჯგუფში 8 ქულით ლიდერობენ ინგლისელი მოჭადრაკეები. 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს საბჭოთა და ფილიპინელმა მოჭადრაკეებმა.

# დინამოელები, არმიელები, სტუდენტები... თუ?

სსრ კავშირის ჩოგბურთელთა გუნდური პირველობა შუა ფაზაში შევიდა. როგორც I, ისე II ჯგუფის ქვეჯგუფებში შეხვედრები დამთავრდა. I ჯგუფის I ქვეჯგუფში „განთიადმა“ ორი უკანასკნელი შეხვედრაც წააგო. განთიადის წარმომადგენლები ჯერ დინამოელებთან დამარცხდნენ (1:14), შემდეგ „ბურევესტნიკთან“ (3:12). განთიადელებიდან ერთადერთი ქულა უბრძოლველად მიიღო ახალაძემ. საქმე ის არის, რომ მეტრეველი ამ დღესაც საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა თამაშზე. „ბურევესტნიკთან“ მატჩის დროს კი ახალაძემ ძლიერი მეტოქე — პოტანინი დაამარცხა. ასევე წარმატებით ისპარეზა მეორე განთიადელმა — ლ. მძინარიშვილმა, რომელმაც მოუგო პერეგუდოვს. „ლოკომოტივი“ დამარცხდა „ბურევესტნიკთან“ — 4:13 და „დინამოსთან — 2:13. ამჯერად მეტრეველს უბრძოლველად ჩაეთვალა გამარჯვება. მისი ლოკომოტიველი მეტოქე ხოხლოვი შეხვედრაზე არ გამოცხადდა. საბოლოოდ, ამ ქვეჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: I. „დინამო“ — 3 ქულა, II. „ბურევესტნიკი“ — 2, III. „ლოკომოტივი“ — 1, IV. „განთიადი“ — 0.

მეორე ქვეჯგუფში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გუნდმა დაამარცხა „სპარტაკი“ — 12:4 და „ტრუდი“ (I) — 13:7. არმიელებთან შეხვედრამდე „ტრუდმა“ მოუგო „ავანგარდს“ — 15:1, „ავანგარდმა“ მეორე მარცხი იწვნია „სპარტაკთან“ — 4:12. ქვეჯგუფში I ადგილზე გავიდა შეიარაღებული ძალების გუნდი — 3 ქულა, II—„ტრუდი“ (I) — 2, III — „სპარტაკი“ — 1, IV — „ავანგარდი“ — 0.

ამგვარად, I ჯგუფის გუნდების ნახევარფინალში ითამაშებენ: „დინამო“ — „ტრუდი“ (I) და შეიარაღებულ ძალთა გუნდი — „ბურევესტნიკი“. „განთიადისა“ და „ავანგარდის“ ჩოგბურთელები ერთმანეთს შეხვდებიან VII-VIII ადგილებისთვის. აქ დამარცხებული სამერმისოდ II ჯგუფის გუნდებში ისპარეზებს.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში პირველობა გაინაღდა „კალევმა“. ესტონელებმა დაამარცხეს „ზენიტი“ (8:1) და „მოლდოვა“ (7:2). „ტრუდი“ (II) დამარცხდა „ზენიტთან“ (4:7) და „მოლდოვასთან“ (6:7). II ადგილზე გავიდა „მოლდოვა“, III — „ზენიტი“, IV — „ტრუდი“ (II). II ქვეჯგუფში უძლიერესი იყო „კრასნოე ზნამია“. ამ გუნდმა ორი ბოლო შეხვედრა მოუგო „ქალგირისს“ (7:2) და „აშხატანკს“ (9:0). „ზახმეტმა“ წააგო „ჟალგირისთან“ (1:8), ხოლო გაიმარჯვა „აშხატანკთან“ (7:3). II ადგილზე გავიდა „ჟალგირისი“, III — „ზახმეტი“, IV—„აშხატანკი“.

**მ. ქავთარია.**

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

საკავშირო ჩემპიონატის მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის, გოლები გაიტანეს: „ლოკომოტივის“ მხრივ პეტროვმა და ბელოვმა, ხოლო „შახტიორიდან“ — ორლოვმა და გრიგორიევმა.

### „ა“ კლასი I ჯგუფი

#### გუშინ...

ქუთაისში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფის, გუნდებს შორის. ადგილობრივმა ტორპედოელებმა მიიღეს მოსკოვის ცსკა. მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 4:0.

ჩატარდა სხვა შეხვედრებიც: ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:3, „ტორპედო“ (მოსკოვი)—„ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (კიევი) 1:1.

### „იმედის თასზე“

**სოჭი, 21 ოქტომბერი.** აქ დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება „იმედის თასზე“. პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა: საქართველო — უკრაინა 0:0, რსფსრ — მოსკოვი 2:1, სომხეთი — „შრომითი რეზერვები“ (ნაკრები) — 1:1.

## პროგრამა-მინიმუმი შესრულებულია

### „ბ“ კლასი

რუსთავის „მეტალურგს“ ბოლო ტურის შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა ჰირდებოდა, რომ უფლება მოეპოვებინა „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალურ ტურნირში მოხვედრისთვის.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს და დიდი ანგარიშით მოიგეს მატჩი ლენინგრადსკაიას „უროჟაისთან“.

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „მეტალურგს“ პირველი ტაიმში და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგეს იგი — 0:1. ეს გოლი მე-20 წუთზე გაიტანა გვენცაძემ.

შესვენების შემდეგ „მეტალურგი“ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი გახდა. „უროჟაის“ ფეხბურთელები იძულებული იყვნენ მხოლოდ დაცვაზე ეფიქრათ, მაგრამ მეტალურგთა განუწყვეტელი იერიშების მოგერიება მათს ძალებს აღემატებოდა. კონიაშვილმა, იმერლიშვილმა, კვლავ კონიაშვილმა და ორჯერ მეტრეველმა დამსახურებული გამარჯვება მოუტანეს რუსთავის გუნდს — 6:0.

**რ. ბაბრიჩიძე.**
**(ტელეფონით ჩვენი კორ.).**

### „ა“ კლასი II ჯგუფი

19 ოქტომბერს ჩატარდა მორიგი ტურის შეხვედრები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

კვლავ წარუმატებლად ითამაშეს გასვლაზე საქართველოს გუნდებმა. მხოლოდ ბათუმის დინამოელებმა აიღეს ქულა ვოლგოგრადის „ტრაქტორთან“ შეხვედრაში — 2:2. ტყიბულის „მეშახტე“ დამარცხდა ულიანოვსკში ადგილობრივ „ვოლგასთან“ — 0:2. ხოლო თბილისის „ლოკომოტივი“ ყაზანის „რუბინთან“ შეხვედრაში — 1:3.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) — 2:1, „ვოლგა“ (გორკი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 0:0, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 2:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „სტროიტელი“ (უფა) 3:1.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**